# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

# CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10. ტელ: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge
10, LERMONTOVI ST, 0105 TBILISI, GEORGIA; TEL: (+995 32) 2 98 29 32; www.sakrebulo.ge


№04/13618

„03" ოქტომბერი 2014 წ.

*ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს*
*ბატონ დავით ნარმანიას*

ბატონო დავით,

თქვენი 2014 წლის 1 ოქტომბრის №04/13618 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა ქ. თბილისში კოტე აფხაზის ქ. №36-ში დაზიანებული გზის დამჭერი კედლის სავალალო მდგომარეობა, რაც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და ქალაქის სტუმრებს. როგორც წერილიდან ირკვევა, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 14853,83 (თოთხმეტიათას რვაასორმოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარს, კეთილმოწყობის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 297076,69 (ორასოთხმოცდაჩვიდმეტიათას სამოცდათექვსმეტი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარს.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გაძლევთ წერილობით თანხმობას ზემოთ აღნიშნულ საკითხზე გამარტივებული შესყიდვით განხორციელების თაობაზე.

05-2/1427443
03.10.14

*პატივისცემით,*

*გიორგი ალიბეგაშვილი*